საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-387

ქ. თბილისი

05/05/2020

„დუშეთის მუნიციპალიტეტში, შპს „მენესო ჰესის“ მდინარე არაგვზე 7,4 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (მენესო ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს დუშეთის მუნიციპალიტეტში, შპს „მენესო ჰესის“ მდინარე არაგვზე 7,4 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (მენესო ჰესი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N37 (01.05.2020წ.);
2. შპს „მენესო ჰესმა“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N37 (01.05.2020 წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მენესო ჰესს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მენესო ჰესის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და დუშეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი